ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელი დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

ნ. ა. ადვოკატ ზ. ბ.-ის წინააღმდეგ

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩილაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ნ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი – 06.04.2011

საჩივრის რეგისტრაციის N037/11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ზ. ბ. სიითი N

მოთხოვნა – ადვოკატ, ზ. ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლიუნური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ეთიკის კომისიას 2011 წლის 6 აპრილს საჩივრით მომართა მოქალაქე ნ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ, ზ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატ ზ. ბ.-ს შვილის, ი. ა.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარების გასაწევად მიმართა და 2010 წლის 19 ოქტომბერს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა.

1.3 განმცხადებლის მითითებით, მან ადვოკატს განუმარტა, რომ მისი შვილი მსჯავრდებული იყო სსკ-ის 19-ე და 108-ე მუხლებით ხოლო განაჩენი შესული იყო კანონიერ ძალაში. საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატმა მას მისცა 100 % გარანტია, რომ მოახდენდა საქმის კვალიფიკაციის შეცვლას სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას მისცა 100 % გარანტია საქმის წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰპირდა, რომ გადახდილ თანხის უკან დაუბრუნებდა.

1.5 ნ. ა.-ის განცხადებით, ადვოკატმა მას სამართლებრივი მომსახურებისათვის მოსთხოვა 2 000 აშშ დოლარი, რომელიც შეთანხმებიდან მეორე დღეს, დაახლოებით საღამოს 10 საათზე გადასცა ადვოკატს, დაბა სურამში მის კუთვნილ სახლში.

1.6 განმცხადებლის მითითებით, ადვოკატმა არ დაიცვა მისი შვილის ინტერესები, ხოლო თანხის უკან დაბრუნებაზე უარი განუცხადა.

2. მოწმე გ. გ.-ის ახსნა-განმარტება:

2.1 გ. გ.-ის განმარტებით, ნ. ა.-ემ ადვოკატ, ზ. ბ.-ს გადასცა 2000 აშშ დოლარი, შვილის ი. ა.-ს გასანთავისუფლებლად.

2.2 მოწმის განმარტებით თანხის გადაცემის დროს ის თან ახლდა ა.-ს და მიუთითებს რომ მათთან ერთად იმყოფებოდნენ, ადვოკატის მეუღლე და შვილი.

2.3 გ. გ.-ის განცხადებით, ნ. ა. ადვოკატს თანხის გადაცემამდე ჰკითხა გაართმევდა თუ არა იგი საქმეს თავს, თუ სხვა ადვოკატების მსგავსად ზეწეოლის ეშონოდა. მოწმის ახსნა-განმარტებით, ადვოკატი ჰპირდებოდა ნ. ა.-ეს, რომ კვალიფიკაციის შეცვლას მოახდენდა 120-ე მუხლით და ი. ა.-ეს გაათავისუფლებდა. მოწმის ახსნა-განმარტებით, ადვოკატმა განუცხადა, საჩივრის ავტორს, რომ მას არ ეშინოდა არავისთან დაპირისპირების.

3. მოწმე ნ. ნ. - წ.-ის ახსნა-განმარტება:

3.1 ნ. ნ. - წერეთლის განმარტებით მისთვის ცნობილი იყო, რომ ი. ა.-ის მშობელმა, ნ. ა.-ემ 2010 წლის ოქტომბერში ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ, ზ. ბ. რომელიც შრომით საქმიანობას ეწეოდა ხაშურის რაიონში.

3.2 მოწმის განმარტებით, მისთვის ნ. ა. იყო ცნობილი, რომ ადვოკატი მას 2000 აშშ დოლარის სანაცვლოდ დაჰპირდა შვილის პატიმრობიდან განთავისუფლებას კანონით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით, ხოლო თუ საჭირო გახდებოდა მიმართავდა და პირადად შეხვდებოდა პრეზიდენტსა და მთავარ პროკურორს. მოწმის განმარტებით, ადვოკატს მიაჩნდა, რომ ი. ა. არასწორად იხდიდა სასჯელს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და მის მიერ ჩადენილი დანაშაული გადაკვალიფიცირებას საჭიროებდა.

3.3 მოწმეს განცხადებით ადვოკატს პირველად შეხვდა ხაშურის პოლიციაში ნ. ა. ერთად, სადაც ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე შეეძლო დამოუკიდებლად ეწარმოებინა მოკლვევა და დოკუმენტები წარედგენა ზემდგომ ორგანოში.

3.4 მოწმის განმარტებით, ის ადვოკატს მეორედ კვლავ ნ. ა. ერთად შეხვდა, რა დროსაც ნ. ა.-ემ მისი თანდასწრებით მოსთხოვა გადახდილი 2000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება.

3.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ა.-ეს უთხრა, რომ უკან დაუბრუნებდა 1000 აშშ დოლარს, რაზედაც ა.-ემ თავდაპირველად უარი განაცხადა, თუმცა შემდგომ დათანხმდა, ვინაიდან ადვოკატი ითხოვდა დროს რათა შეესრულებინა თავისი დანაპირები.

3.6 მოწმე ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა მისთვის ცნობილი გახდა ნ. ა.-გან, რომელსაც ადვოკატმა უარი განუცხადა როგორც სრული თანხის, ისე ნაწილი 1000 აშშ დოლარის უკან დაბრუნებაზე.

4. **ადვოკატ ზ. ბ.-ის პოზიცია:**

4.1 2010 წლის 19 ოქტომბერს ადვოკატ ზ. ბ. და ნ. ა.-ეს შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

4.2 ადვოკატის განმარტებით, მოქალაქე ნ. ა.-ემ აუხსნა, რომ მისი შვილი სრულიად უდანაშაულოდ ბრალდებული იყო სსკ-ის 19-108 მუხლებით, იხდიდა სასჯელს და განაჩენი შესული იყო კანონიერ ძალაში.

4.3 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტს დაჰპირდა საქმის მასალებს შესწავლასა და კანონის ფარგლებში სამართლებრივი დახმარების გაწევას.

4.4 ადვოკატი არ ეთანხმება კლიენტის მიერ მითითებულ ფაქტს, გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მას არანაირი გარანტია საქმესთან დაკავშირებით არ მიუცია და რომ იგი მხოლოდ კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევას დაჰპირდა კლიენტს.

4.5 ადვოკატის განმარტებით, მან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 1800 (ათას რვაასი) ლარი შეიტანა ანგარიშზე და აღნიშნული თანხიდან განახორციელა საშემოსავლო გადასახადის დაკავება. ხოლო რაც შეეხება დარჩენილ თანხას, ის გადადო ხარჯებისთვის, რადგან როგორც თავად განმარტავს საქმე თავისი შინაარსით დაკავშირებული იყო მუშაობის დიდ მოცულობასთან.

4.6 ადვოკატის განამრტებით მან თავისი საქმიანობის ფარგლებში განახორციელა შემდეგი მოქმედებანი: გაეცნო საქმის მასალებს; შეხვდა ქ. რუსთავის # 17 დაწესებულებაში მყოფ პატიმარს და შეუთანხმდა განსახორციელებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

4.7 ადვოკატი განმარტავს, რომ სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროში ჩაატარებინა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. (აღნიშნულთან დაკავშირებით 6-ჯერ მოუწია თბილისსში გამომგზავრება); ჩაატარა მოკვლევა საქმეზე და ქ. ზუგდიდში შეხვდა მთავარ მოწმეს, ი. ა.-ის მეუღლეს – თ. ი.-ს. პოლიციის მეშვეობით დაუკავშირდა დაზარალებულ, ი. ა.-ეს, ჩამოართვა ახსნა – განმარტება და დაეხმარა პროკურორის სახელზე განცხადების დაწერაში;

4.8 ადვოკატის მითითებით მან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310 – 312 -ე მუხლების თანახმად, პატიმრის სახელით მიმართა მთავარ პროკურატურას, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ ი. ა.-ეს უფლება ჰქონდა მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის. ადვოკატმა პატიმარს მოაწერინა ხელი სააპელაციო სასამართლოსათვის გადასაგზავნ განცხადებაზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების თაობაზე.

4.9 სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვამდე, ადვოკატმა, ნ. ა.-ის ნათქვამის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკენილი მოლაპარაკებულია სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრაზე, განცახადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული განცხადება მისთვის პასუხის შეტყობინების გარეშე გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს;

4.10 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უარი ეთქვა აპელანტს განცხადების დაკმაყოფილებაზე, იმ მიზეზით რომ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელი დატოვა ორივე ზემდგომმა ინსტანციამ და შესაბამისად სამართლებრივად სწორი შეფასება ჰქონდა საქმეს მიცემული.

4.11 ადვოკატის განმარტებით, რადგან განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობდა, შეწყალების განცხადება წარადგინა პრეზიდენტის სახელზე.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2011 წლის 30 მაისი საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით ადვოკატ ზ. ბ.-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა.

5.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ, ზ. ბ.-ს მიმართ იმის თაობაზე, რომ კლიენტს გარანტია მისცა საქმის შედეგებთან დაკავშირებით შესაძლებელია იყოს საფუძვლიანი.

5.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ს მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა", „ბ", პუნქტები, მე-6 და მე-7 მუხლი და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-3, მე-4, მე-5, მე-8 მუხლები.

6. ფაქტობრივი გარემოებები

6.1 უდავო ფაქტობრივი გარემოებები

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 ნ. ა.-ემ 2010 წლის 19 ოქტომბერს გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადვოკატ ზ. ბ.-თან.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ა) საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება 2010 წლის 19 ოქტომბერი

6.2 **ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებაა:**

6.2.1 ადვოკატი ზ. ბ. საჩივრის ავტორს დაჰპირდა შვილის ი. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლას სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისიწინებული დანაშაულით.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება სადავოდ მიაჩნია, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

1.2.1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ ზ. ბ. რომელსაც უნდა შეეცვალა კვალიფიკაცია, შვილის ი. ა.-ს სისხლის სამართლის საქმეზე. საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატი მას დაჰპირდა საქმის წარმატებით დასრულებას და მისი შვილის განთავისუფლებას.

1.2.1.3 ადვოკატის განმარტებით, მას არ მიუცია დაპირება საჩივრის ავტორისათვის საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე, ადვოკატის განცხადებით საქმის კვალიფიციურად წარმართვას დაჰპირდა საჩივრის ავტორს.

1.2.1.4 მოწმეთა განმარტებების მიხედვით, ადვოკატმა საჩივრის ავტორს კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით შვილის გათავისუფლება აღუთქვა და განუმარტა, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა და იბრძოლებდა მისი შვილის ინტერესების დასაცავად.

1.2.1.5 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებების და მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ ადვოკატი ზ. ბ. არ დაჰპირდა საქმის 100 %-იანი წარმატებით დასრულებას საჩივრის ავტორს, არამედ ადვოკატს კვალიფიციური სამართლებრივი მომსახურება უნდა გაეწია კლიენტისათვის. ეთიკის კომისია აღნიშნავს, საჩივრის ავტორი ახსნა-განმარტებაში თავად ადასტურებს, რომ ადვოკატთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე,

108-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის, სსკ-ის 120 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე გააფორმა.

1.2.1.6 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დაპირება საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე და საადვოკატო მომსახურების კვალიფიციურად წარმართვა. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს კვალიფიციური მომსახურება უნდა გაეწია კლიენტისათვის, რასაც ადვოკატის მიერ შესრულებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები ადასტურებს. კერძოდ, ადვოკატმა ი. ა.-ს სისხლის სამართლის საქმის თაობაზე შეაგროვა ახალი მტკიცებულებები - ექსპერტიზის დასკვნისა და დაზარალებულის ახსნა-განმარტების სახით, წარადგინა განცხადება სააპელაციო სასამართლოში საქმის კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე, მიმართა პრეზიდენტს პატიმრის შეწყალების თაობაზე.

1.2.1.7 შესაბამისად, ადვოკატ ზ. ბ.-ის დაპირება საქმის 100%-იანი წარმატებით კლიეტნის სასარგებლოდ დასრულების თაობაზე არ დასტურდება, ადვოკატმა აიღო ვალდებულება სათანადო მომსახურება განეხორციელებინა კლიენტისათვის კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ნ. ა.-ის 2011 წლის 6 აპრილის საჩივარი
2. ადვოკატ ზ. ბ.-ს 2011 წლის 15 აპრილის ახსნა-განმარტება.
3. 2011 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი დისციპლინური საქმე #037/11

II ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თვლის რომ ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს საქმის წარმატებული შედეგის თაობაზე დაპირება არ მიუცია კლიენტისათვის. ადვოკატის მიერ არ დასტურდება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტების დარღვევა, შესაბამისად არ არსებობს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც.

III ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

განხილვის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ზ. ბ.-ეს, სიითი # //, დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი - არჩილ კბილაშვილი

კოლეგიის წევრი - გიგა კვერენჩხილაძე